პოლიტიკა
ეკონომიკა
სამართალი
საზოგადოება
სამხედრო ამბები
რეგიონი
უცხოეთი
ინტერვიუ
ანალიტიკა
პრესის მიმოხილვა
უცხოური პრესა
კულტურა
ქონებრივი დეკლარაციები
სხვადასხვა

გაიგე განსხვავებული

KB KB
კაიკაციშვილი & ადვოკატები
KAIKATSISHVILI & BARRISTERS
www.Kbarristers.ge

არქივი

« ივლისი 2019 »

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

ივლ #$%& !"!

Ყ

დავით ზურაბიშვილი:

ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ

კულტურა

მარიამ ჯაში ამერიკელ რეჟისორს, დევიდ ლინჩს შეხვდა

17:11 19.11.2017

საქართველოს პარლამენტს დღეს ოფიციალური ვიზიტით ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი და დევიდ ლინჩის ფონდის (DLF) დელეგაციის წევრები ესტუმრნენ. სტუმრებს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა და კომიტეტის წევრმა, ალექსანდრე ქანთარიამ უმასპინძლეს. შეხვერდას ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი.

მასპინძლებმა სტუმრებს ქართული კინოს ისტორია გააცნეს. მათ, ასევე, ისაუბრეს იმ შესაძლებლობებზე, რომელიც არსებობს რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების ბაზაზე და რომელიც, პირველ ეტაპზე, შეიძლება გამოყენებული იქნას ახალი სკოლის დაფუძნების თვალსაზრისით.

„ასევე, შეიძლება იყოს საუბარი ერთობლივ კინოპროდუქციებსა და კინოფესტივალებზე, რომელიც კინოინდუსტრიის გაგრძელება იქნება. ის TM-ტექნიკა, რომელიც გამოიყენება, ასევე იქნება გათვალისწინებული პროგრამული მიმართულებებით“, -აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.
მარიამ ჯაშის ინფორმაციით, დევიდ ლინჩის ფონდი 35-ზე მეტ ქვეყანაში ფუნქციონირებს. მისი თქმით, დევიდ ლინჩის ფონდი სხვადასხვა ქვეყანაში ფსიქოსოციალური პროგრამით ეხმარება ომის ვეტერანებსა და საგზაო მოძრაობის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს.
„უდიდესი ამერიკელი რეჟისორის სურვილია, საქართველოში დაფუძნდეს საერთაშორისო კინოუნივერსიტეტი. ჯერ მხოლოდ კონცეფციის დონეზეა ამ საკითხის განხილვა. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს სურვილი სულ მალე რეალობად იქცევა“, - განაცხადა მარიამ ჯაშმა.

მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში სტუმრებისთვის დაგეგმილია ანსამბლ „ერისიონის“ საგანგებო სარეპეტიციო ჩვენება, ქართული ღვინის დაგემოვნება, ქართული სამზარეულოს გაცნობა. „ჩემთვის, როგორც განათლების, მეცნიერებისა და კულტურის თავმჯდომარისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მოკლე ვიზიტის პერიოდში დევიდ ლინჩი მაქსიმალურად გაეცნოს ქართულ კულტურას, ჩვენს ტრადიციებს. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ვიზიტის შემდეგ უდიდესი ამერიკელი რეჟისორი გახდება საქართველოს ერთგვარი ელჩი ჰოლივუდში“, - აღნიშნა მარიამ ჯაშმა.

NewsPress
Like Page
Be the first of your friends to like this

ინტერვიუ

18:10 01.05.2019

ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან: დავით-გარეჯთან დაკავშირებით ზოგიერთი მხარის რეაქციები ძალიან გამიკვირდა

ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საკუთარ როლზე, მეზობელ

[ვრცლად]

ინტერვიუ

12:14 22.04.2019

ინტერვიუ მიხეილ სააკაშვილთან: პირველი, რაც ზელენსკიმ უნდა გააკეთოს ისაა, რომ პოროშენკოს კლანი ციხეში ჩასვას

რუსეთის ტელეკომპანია «Дождь»-ის შოუ-პროგრამაში «Здесь и сейчас» ისაუბრა საქართველოს ექს-პრეზიდენტმა და უკრაინის

[ვრცლად]

ინტერვიუ

MARIAM JASHI MET WITH THE AMERICAN FILM DIRECTOR – DAVID LYNCH

17:11 19/11/2017

American Film Director David Lynch and a delegation of the David Lynch Foundation (DLF) paid an official visit to the Parliament of Georgia today in Tbilisi. The guests were hosted by the Chairperson of Education, Science and Culture Committee Mariam Jashi and the Committee member Alexander Kantaria. The meeting was also attended by the Minister of Culture Mikheil Giorgadze and the Minister of Education and Science Mikheil Chkhenkeli.

The hosts introduced Georgian Film history. The sides also discussed the possibilities that exist on the base of Tbilisi Shota Rustaveli Film and Theatre University as well as other state or private universities that might be used for establishment of a new school.

"We will also probably speak about the common film productions and film festivals, which will be the continuation of the film industry. The TM technique which is being implemented will also be previewed in the program directions" – announced the chairperson of the committee.

According to Mariam Jashi David Lynch Foundation is spread in more than 35 countries. As she mentioned The David Lynch Foundation helps war veterans and the victims of car accidents by means of the psycho sociological programs.
"The great film director is willing to establish an international film university in Georgia. Discussion of this topic is still on the stage of a concept. I very much hope that this will become a reality soon." – announced Mariam Jashi.

According to her in scope of the visit the guests will attend a planned rehearsal performance of the ensemble "Erisioni", Georgian wine and cuisine tasting. For me as for the chairperson of Education, Science and Culture Committee, it's very important that during this short visit David Lynch gets acquainted to the Georgian Culture and our traditions on the maximum level. I have a big hope that after this visit the great America film director becomes a kind of an ambassador in Hollywood", - noted Mariam Jashi.